ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6749991

ნომერი: AR1998918

თარიღი : 03.11.2023

გაცემის თარიღი : 08.11.2023

გაცნობის თარიღი : 08.11.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბუზარიაშვილი პ/ნ 01017015577
- თბილისი აკ.შანიძის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 3 ნოემბერს №AR1998918 განცხადებით მომართა მიხეილ ბუზარიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 6 ოქტომბრის №6698953 გადაწყვეტილების არარად აღიარება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურს, 2023 წლის 23 სექტემბერს, №AR1991481 განცხადებით, მომართა ზურაბ ნადირაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №5-ში მდებარე №01.13.03.016.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (კომერციული, საოფისე და საცხოვრებელი) მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.
სამსახურის 2023 წლის 6 ოქტომბრის №6698953 გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა ზურაბ ნადირაძეს, №01.13.03.016.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე, ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვერ მოხდება საპროექტო შენობა-ნაგებობის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა; საპროექტო შენობა-ნაგებობის მშენებლობით შეიცვლება მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებითი ხასიათი და გამოიწვევს საპროექტო/მიმდებარე მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ უსისტემოდ განვითარებას, რაც სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 ოქტომბრის №6698953 გადაწყვეტილების არარად აღიარება, იმ საფუძვლით რომ აღნიშნული აქტი წარმოადგენს უკანონო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა, ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.
ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლით განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 6 ოქტომბრის №6698953 გადაწყვეტილების არარად აღიარებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.